



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 10
04/03/2021

10-06-4-202103041445



ქ. ცაგერის და სოფელ ქვ. ცაგერის მოსახლეობის წყლის გადასახადის სუბსიდირების შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის ქ. ცაგერისა და სოფ. ქვ. ცაგერის მოსახლეობა 2015 წლიდან დაბალ გადახდის უნარიანობის გამო განთავისუფლებულია ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერია, ითვალისწინებს არსებულ გარემოებას და საკრებულოს წინაშე შემოდის წინადადებით მასზედ, რომ ქ. ცაგერისა და სოფელ ქვ. ცაგერის მოსახლეობა გათავისუფლებული იქნას ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე ყოველთვიურად 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდისაგან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა

1. მიღებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება ქ. ცაგერისა და სოფელ ქვ. ცაგერის მოსახლეობის წყლის გადასახადის საფასურის სუბსიდირების შესახებ.
2. წყლის საფასურის გადახდა მოხდეს ყოველ ერთ აბონენტზე სუბსიდირების სახით გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი აბონენტთა სიის მიხედვით, ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გათვალისწინებით.
3. საფასურის სრულად გადახდა მოახდინოს მუნიციპალიტეტის მერიამ.
4. ეთხოვოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრს, აბონენტებზე გაცემული წყლის ქვითრებში ასახოს მთლიანად გადასახდელი თანხის ოდენობა და ამ განკარგულებით დადგენილი სუბსიდირის ოდენობა და საბოლოოდ ცალკეული აბონენტების მიერ გადასახდელი თანხის რაოდენობა.
5. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გაერთიანებული წყალმომარაგების ცაგერის სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მოახდინოს ანგარიშსწორება,

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
7. განკარგულება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი გუგავა



საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო